ხელშეკრულება N203

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ხაშური 25 დეკემბერი 2014 წელი

ერთის მხრივ ხაშურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი გამგებლის გიორგი გურასპაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ქართლი–2013" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ახალკაცის სახით, ვხელმძღვანელობთ რა *საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის N471, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 აპრილის N49, 2014 წლის 22 აგვისტოს N121 და 2014 წლის 26 ნოემბრის N175 განკარგულებებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად,* საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით სოფელ ცხრამუხაში ცენტრში სკვერის მოწყობის და მოსაცდელის შეკეთების სამუშაოების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და *შპს „არქიტექტორი"-ს მიერ შედგენილი სახარჯთარიცხვო გაანგარიშების შესაბამისად (დანართი ხარჯთაღრიცხვა)* გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CPV კოდი: 45100000; 45112720).

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **769.68 (შვიდასსამოცდაცხრა ლარი და 68 თეთრი) დღგ-ს გათვალისწინებით.**

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა მოიცავდეს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: **ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.**

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელთან ერთად შემსყიდველს წარედგინება შესრულებული სამუშაოს აქტი (ფორმა N2), დადასტურებულები შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ;

5.2. შემსყიდველს მიღება-ჩაბარების აქტსა და შესრულებული სამუშაოს აქტ ფორმა N2-თან ერთად წარედგინება შესაბამისი საგადასახადო ანგარიშფაქტურა/სასაქონლო ზედნადები;

5.3. შემსყიდველის მხრიდან საგადასახადო ანგარიშფაქტურაზე/სასაქონლო ზედნადებზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების **სამსახურის უფროსი,** ან ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების **სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.**

5.4. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ხელშეკრულებაში შემსყიდველი მხარის წარმომადგენლები ხელის მოწერით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **2014 წლის 25 დეკემბრის N203** ხელშეკრულებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

6. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

6.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6.2. შესყიდვის ობიექტს არ უნდა გააჩნდეს უფლებრივი ან/და ნივთობრივი ნაკლი, რომელიც აუარესებს მისი გამოყენების მაჩვენებელს.

6.3. შემსყიდველი ვალდებულია წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ნაკლის აღმოჩენის შესახებ.
6.4. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით.
6.5. საგარანტიო პერიოდში, რომელიც განსაზღვრულია **3 წლით**, ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის დეფექტების აღმოფხვრა საკუთარი ხარჯით, ასევე აღნიშნული დეფექტების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით **ეტაპობრივად**, ეროვნულ ვალუტაში, წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან.
7.2. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, რომელიც განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 50%-ით, მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარი ანგარიშსწორების განხოციელებამდე წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარი ანგარიშსწორების იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ავანსის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.
7.3. შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურების დროს შემსყიდველის მიერ არ გადაიხდება (დაკავდება) თანხა სამუშაოების საერთო მოცულობაში საავანსო თანხის პროცენტული ოდენობის შესაბამისად (50%).
7.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 85%-ის ანაზღაურება, წინასწარი ანგარიშსწორების ჩათვლით, მოხდება სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ხოლო დანარჩენი თანხის ანაზღაურება განხორციელდება იმავე წესით მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შემდეგ (ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს იურიდიული ან შესაბამისი სერთიფიკატის მქონე ფიზიკური პირის მიერ. შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში ექსპერტიზის დასკვნის გაცემის უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იქნას იურიდიული პირის მიერ წარმოდგენილ წესდებაში არსებული ჩანაწერით).
7.5. იმ შემთხვევაში თუ, მიმწოდებელი დაარღვევს ხელშეკრულებაში განსაზღვრულ ვადებს ან სხვა გარემოებების გათვალისწინებით დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე.
7.6. ანგარიშსწორების ადგილია: ქ. ხაშური.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) გადასცეს მიმწოდებელს ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა არსებითი გარემოების შესახებ;
ბ) აანაზღაუროს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.
8.2. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
ბ) წარმოქმნილი აუცილებლობის შემთხვევაში შეცვალოს შესყიდვის ობიექტების ჩამონათვალი, დააზუსტოს შესასრულებელ სამუშაოთა ნუსხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯამური ღირებულების ფარგლებში;
გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.
8.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) ხელშეკრულების გაფორმებამდე შეისწავლოს შესყიდვის ობიექტის აღწერა და წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა. გამოვლენილი უზუსტობების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებლის პრეტენზია არ განიხილება.
დ) საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებამდე მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა (ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს მე-7 მუხლის 7.4. პუნქტის შესაბამისად).

ე) შემსყიდველ ორგანიზაციაში უნდა წარმოადგინოს სამუშაოს დაწყებამდე, სამუშაოს მიმდინარეობის და სამუშაოების დასრულების შემდგომი მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები.
8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 %-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.6. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულელობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 10%-ის ოდენობით;
9.7. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ შეფერხების ფაქტის წარმოშობისას დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში წინადადება არ განიხილება.

შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი;
14.3. თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე, შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით.
14.5. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.6. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მესამე პირის დაზიანებული ქონების ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სუბკონტრაქტორები

15.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბკონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
15.2. მიმწოდებელმა მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარუდგინოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები.
15.3. მესამე მხარეების მიერ მიმწოდებლის წინააღმდეგ სარჩელების წამოყენების და სასამართლო პროცედურების დაწყების შემთხვევაში, შემსყიდველს მათთან დაკავშირებით არ ეკისრება არანაირი ფინანსური პასუხისმგებლობა.

16. სხვა პირობები

16.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
16.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი „შემსყიდველს“, ერთი „მიმწოდებელს“). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
16.5.ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ხაშურის მუნიციპალიტეტი
ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2,
სს „ლიბერთი ბანკი“ (ხაშურის ფილიალი 435), LBRTGE22;
ა/ა GE96LB0120117335425000; საიდენტიფიკაციო კოდი: N243908848.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი _____ გიორგი გურასპაშვილი

მ. ს.

მიმწოდებელი:

შპს „ქართლი-2013“
ხაშური, სოფელი ცხრამუხა,
სს „ლიბერთი ბანკი“, LBRTGE22;
ა/ა GE92LB0113110230590000; საიდენტიფიკაციო კოდი: 443857060.

შპს „ქართლი-2013“-ის დირექტორი _____ გიორგი ახალკაცი

<u>შ.პ.ს "არქიტექტორი"</u>
ქ. ხაშური რუსთაველის ქუჩა #6

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება: **769,68** ლარი

სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება

სოფელ ცხრამუხის ცენტრში სკვერის მოწყობა და მოსაცდელის შეკეთება

შ.პ.ს "არქიტექტორი"-ს დირექტორი: მ. მაყიშვილი

შეადგინა: ვლ. კახიშვილი

ქ. ხაშური
2014 წ.

<u>განმარტებითი ბარათი</u>

სოფელ ცხრამუხის ცენტრში სკვერის მოწყობა და მოსაცდელის შეკეთების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია ხაშურის მუნიციპალიტეტის **2014**ლის **5** მარტის **#39** ხელშეკრულების საფუძველზე

ხარჯთაღრიცვა შედგენილია **1984** წლის ს.ნ.წ. თანახმად, სამშენებლო რესურსების ფასების **2014** წლის **IV** კვარტლის დონეზე

ხარჯთაღრიცხვაში აღებულია შემდეგი დარიცხვები:

ზედნადები ხარჯები სამონტაჟო სამუშაოებზე **75%**

ზედნადები ხარჯები სამშენებლო სამუშაოებზე **8%**

გეგმიური დაგროვება **6%**

დ. ღ.გ. **18%**

მთლიანი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს **769,68** ლარს

შ.პ.ს. არქიტექტორი"–ს დირექტორი: მ. მაყიშვილი

შეადგინა: ვლ. კახიშვილი

ნაკრები ხარჯთაღრიცხვა

სოფელ ცხრამუხის ცენტრში სკვერის მოწყობა და მოსაცდელის შეკეთება

ხარჯთაღრიცხვა თანხით **769,68** ლარი

#	სახარჯთაღრიცხვო ანგარიშის და ხარჯთაღრიცხვის ნომერი	თავების, ობიექტების, დასახელება	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება /ლარი/			საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება
			სამონტაჟო სამუშაოები დ.ღ.გ.–ს ჩათვლით	სამონტაჟო სამუშაოები დ.ღ.გ.–ს გარეშე	სახარჯთ. დოკ. შედგ. **1,2%**	
1	ხარჯთ.	სოფელ ცხრამუხის ცენტრში სკვერის მოწყობა და მოსაცდელის შეკეთება	769,68	638,23	7,66	
		ჯამი	**769,68**	**638,23**	**7,66**	

შ.პ.ს. "არქიტექტორის"-ს დირექტორი: მ. მაყიშვილი

შეადგინა: ვლ. კახიშვილი

სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშება

სოფელ ცხრამუხის ცენტრში სკვერის მოწყობა და მოსაცდელის შეკეთება

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება **769,68** ლარი

№	სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება, მოწყობილობების დახასიათება	განზ. ერთ.	რაოდ.	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ.ღირ.	ჯამი	ერთ.ღირ	ჯამი	ერთ.ღირ.	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	განათების ბურთების მონტაჟი	ცალი	2	25,00	50,00	3,00	6,00	1,20	2,40	58,40
2	ეკო ნათურა 20 ვტ-ნი	ცალი	2	3,00	6,00	0,30	0,60	0,30	0,60	7,20
3	ალუმინის შნურით ძაბვის მიყვანა განათების ფარებზე **2X10მმ2** ორმაგი იზოლაციით	გ/მ	70	1,10	77,00	0,40	28,00	0,20	14,00	119,00
4	პროჟექტორი (სვეტო დიოდით) 50 ვტ-ნი	ცალი	3	55,00	165,00	5,00	15,00	0,20	0,60	180,60
5	კაბელის გასატარებელი მილი	ცალი	40	0,55	22,00	0,30	12,00	0,30	12,00	46,00
7	რკინის მილი D-89მმ	გ/მ	6	11,00	66,00	1,00	6,00	0,50	3,00	75,00
8	სადენი ალუმინის აპვვ 2*2,5მმ2	გ/მ	15	0,35	5,25	0,20	3,00	0,15	2,25	10,50
9	ავტომატური ამომრთველი ბუდით 25 ამპ	ცალი	1	10,00	10,00	1,00	1,00	0,30	0,30	11,30
10	განათების ბოძის მონტაჟი და შეღებვა	ცალი	2			15,00	30,00			30,00
11	საღებავი	კ/გ	1	8,00	8,00					8,00
	ჯამი				409,25		101,60		35,15	546,00
	ზედნადები სამონტაჟო სამუშაოებზე 75%						71,60			53,70
	ჯამი									599,70
	ზედნადები საამშენებლო სამუშაოებზე 8% პ.10						30,00			2,40
	ჯამი									602,10
	გეგმიური დაგროვება 6%									36,13
	ჯამი									638,23
	ექსპერტიზის ხარჯი 2,2%									14,04
	ჯამი									652,27
	დ.ღ.გ 18%									117,41
	ჯამი									769,68

შ.პ.ს "არქიტექტორის დირექტორი" მ. მაყიშვილი

შეადგინა ვლ. კახიშვილი

დეფექტური აქტი

სოფელ ცხრამუხის ცენტრში სკვერის მოწყობა და მოსაცდელის შეკეთება

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნმა:

მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის განყოფილების სპეციალისტები: მ. ციცქიშვილი, გ. ულუმბელაშვილი. გამგებლის წარმომადგენლის მ/მ სოფელ ცხრამუხის ადმინისტრაციულ ერთეულში მ. ცერცვაძე

№	*სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება, მოწყობილობების დახასიათება*	განზ. ერთ.	რაოდ.	*შენიშვნა*
1	*2*	*3*	*4*	*5*
1	განათების ბურთების მონტაჟი	ცალი	2	
2	ეკო ნათურა 20 ვტ-ნი	ცალი	2	
3	ალუმინის შნურით ძაბვის მიყვანა განათების ფარებზე **2X10**მმ**2** ორმაგი იზოლაციით	გ/მ	70	
4	პროჟექტორი (სვეტო დიოდით) 50 ვტ-ნი	ცალი	3	
5	კაბელის გასატარებელი მილი	ცალი	40	
6	რკინის მილი D-89მმ	გ/მ	6	
8	სადენი ალუმინის აპვვ 2*2,5მმ2	გ/მ	15	
9	ავტომატური ამომრთველი ბუდით 25 ამპ	ცალი	1	
10	განათების ბოძის მონტაჟი და შეღებვა	ცალი	2	
11	საღებავი	კ/გ	1	

1. მ. ციცქიშვილი

2. გ. ულუმბელაშვილი

3. მ. ცერცვაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. ხაშური

25 დეკემბერი 2014 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ხელშეკრულებაში შემსყიდველი მხარის წარმომადგენლები ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **2014 წლის 25 დეკემბრის N203** ხელშეკრულებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

გიორგი გურასპაშვილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი
სერგო ლალიაშვილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი
გოდერძი კახეთელიძე	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის შესყიდვების ხარისხის კონტროლის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ზურაბ თედიაშვილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის შესყიდვების ხარისხის კონტროლის განყოფილების მთავარი სპეციალისტი
გიორგი ულუმბელაშვილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების სპეციალისტი
მირიან ციცქიშვილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების სპეციალისტი
მურად ცერცვაძე	გამგებლის წარმომადგენლის მ/შ ცხრამუხის ადმინისტრაციულ ერთეულში